# საჯარო მოხელის შეფასების კრიტერიუმები ადგილობრივ თვითმმართველობაში
# (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაგალითზე)

**თემურ კახიძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი - არჩილ აბაშიძე

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი 2019**

**განაცხადი**

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თემურ კახიძე

**თბილისი, 23 ივნისი, 2019**

**აბსტრაქტი**

წინამდებარე ნაშრომი ეხება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რეფორმას, რომელიც გულისხმობს საჯარო მოხელის შეფასებას. ჩატარებული კვლევის ფარგლებში გავეცანი ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ საჯარო მოხელის შეფასების სისტემას, მის სუსტ და ძლიერ მხარეებს, რის შემდეგაც გავავლე პარალელები საქართველოში ახლად ამოქმედებულ კანონპროექტთან. კვლევამ საშუალება მომცა დამენახა და წარმომეჩინა, თუ რა ხარვეზები აქვს ჩვენს რეალობაში დანერგილ შეფასების სისტემას. კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ ქვეყნების მიერ განხორციელებულ რეფორმას, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მსგავსად ჯერ კიდევ განვითარების გზაზე დგანან.

კვლევის ბოლოს გამოტანილია დასკვნა, იმის შესახებ თუ რამდენად გაამართლებს საქართველოში საჯარო მოხელის შეფასების სისტემის იმ ფორმით არსებობა, რა ფორმითაც პირველ ეტაპზე ჩაეშვა და რის მიხედვითაც უკვე შეფასდნენ საჯარო მოხელეები.

კვლევისას ძირითადი აქცენტი კეთდება უკვე შეფასებული საჯარო მოხელეების კმაყოფილება/უკმაყოფილების დონის გამომჟღავნებასა და მათ მოლოდინებზე. რამდენად სრულყოფილად განხორციელდა ის ასპექტები რასაც საჯარო მოხელის შეფასების სისტემა გულისხმობს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: „საჯარო მოხელის შეფასების სისტემა“, „საჯარო მოხელის შეფასების სისტემა“ ევროკავშირის განვითარებად ქვეყნებში.

**Abstract**

The present work refers to the reform of the Law on Public Service, which implies assessment of a public official. Within the scope of the research I have been familiar with the assessment system of the public officials in the EU countries, its weak and strong sides, and then I'll pass parallels with the newly enacted bill in Georgia. The study allowed me to visualize and define the gaps in the assessment system introduced in our reality. The research focused on the reforms implemented by those countries that are still on the path of development, like our country.

At the end of the study, the conclusion is whether the suitability of a public servant assessment system in Georgia, in what form is the first step, and according to what the public servants have already assessed.

The main focus of the study is to reveal the level of satisfaction / dissatisfaction of the public servants already evaluated and their expectations. The extent to which the aspects of the public employee assessment system is implemented is perfectly implemented.

**Key words**: "Public Service Assessment System", "Public Service Assessment System" in the developing countries of the EU.